დანართი 2
დამტკიცებულია
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის
ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელის
2010 წლის „ 29. 01 “
№13/02-01 ბრძანებით

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტისათვის ფუნქციონალური (ბიზნეს) ინგლისური ენის მასწავლებელთა შესარჩევი კომისიის მუშაობის წესი

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“) ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტისათვის ფუნქციონალური ინგლისური ენის მასწავლებელთა შერჩევის მიზნით იქმნება კომისია.

2. კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება კომისიის თავმჯდომარის, კომისიის მდივნისა (ხმის უფლების გარეშე) და ორი წევრის შემადგენლობით.

3. კომისიის წევრები ვალდებულები არიან დაიცვან კონფიდენციალობა და არ გაამჟღავნონ ინფორმაცია შედეგების ოფიციალურ გამოქვეყნებამდე.

4. კომისიის ფუნქციებში შედის:
ა) შერჩევის პროცედურის ორგანიზება დადგენილი წესების შესაბამისად;
ბ) აპლიკანტის მოწვევა გასაუბრებაზე;
გ) აპლიკანტისათვის საცდელი გაკვეთილის მოწყობის მოთხოვნა;
დ) სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, შერჩევიდან აპლიკანტის დოკუმენტაციის მოხსნა;
ე) რეკომენდებული კანდიდატურების წარდგენა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელძღვანელისათვის.

5. კომისიის თავმჯდომარეს ეკისრება:
ა) კომისიის ხელმძღვანელობა, მისი მუშაობის ორგანიზება დადგენილი წესებისა და წინამდებარე რეგლამენტის საფუძველზე;
ბ) კომისიის სხდომების დანიშვნა, მათი ჩატარების ადგილისა და დროის განსაზღვრა;
გ) სხდომებისათვის დოკუმენტაციისა და მასალების მომზადების კონტროლი;
დ) კომისიის სხდომების წარმართვა.

6. კომისიის მდივანს ეკისრება:
ა) კომისიის წევრებისათვის სხდომების დროისა და ადგილის შეტყობინება;
ბ) კომისიის წევრების საჭირო მასალებითა და დოკუმენტაციით უზრუნველყოფა;
გ) კომისიის მუშაობის ოქმების წარმოება;
დ) კომისიის თავმჯდომარის იმ დავალებების შესრულება, რომელიც შესარჩევი კომისიის მუშაობასთანაა დაკავშირებული.

7. კომისია უფლებამოსილია თუ მას ესწრება კომისიის ყველა წევრი. წინააღმდეგ შემთხვევაში სხდომა ინიშნება სხვა დროს.

8. კომისია გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს წინამდებარე ბრძანების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმებით.
9. კომისია უფლებამოსილია აპლიკანტს მოსთხოვოს სააპლიკაციო დოკუმენტაციაში მითითებული ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა კომისიის მიერ დადგენილ ვადებში.

10. კომისია უფლებამოსილია შერჩევიდან მოხსნას აპლიკანტი, თუ:
ა) წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეიცავს არასწორ ინფორმაციას;
ბ) დოკუმენტაცია გაყალბებულია;
გ) კონკურსანტმა კომისიის მიერ დადგენილ ვადაში არ/ვერ წარმოადგინა კომისიის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტები;
დ) არ გამოცხადდა ან უარი განაცხადა გასაუბრებასა და საცდელი გაკვეთილის ჩატარებაზე.

11. გასაუბრების ან საცდელი გაკვეთილის ჩატარების შემთხვევაში კომისია გაითვალისწინებს:
ა) ლოგიკური აზროვნების უნარს;
ბ) ქცევის, მეტყველების მანერას;
გ) აუდიტორიასთან კონტაქტს.

12. კომისია დანართი 1-ით გათვალისწინებული კრიტერიუმების საფუძველზე აპლიკანტის შეფასებას ახორციელებს ერთობლივად.

13. შერჩეულ კანდიდატებად ჩაითვლებიან საუკეთესო შედეგის მქონე აპლიკანტები. დასაქმების კანდიდატების რაოდენობა განისაზღვრება ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საჭიროებიდან გამომდინარე (დასაქმებულთა რიცხოვნობის ცვლილება დაკავშირებული იქნება ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ცალკეულ სემესტრში ინგლისური ენის საათების რაოდენობასთან).

14. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რეკომენდაციის სახით, წარედგინება თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელს და შესაბამისად ფორმდება შრომითი ხელშეკრულება.

15. კომისიის სრული დოკუმენტაცია შერჩევის დასრულებისა და შედეგების ძალაში შესვლის შემდეგ შესანახად გადაეცემა თსუ კანცელარიას.

16. კომისიის შედეგები აპლიკანტს შეუძლია სადავო გახადოს მისი ოფიციალური გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.